

საფინანსო ინსტიტუტების ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე გამომქმედი ფაქტორები საქართველოში

გიორგი ბიტაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საფინანსო ბაზრის ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე. განვითარებად ქვეყანაში საფინანსო ბაზრის კონტურები გარკვეულ მინიშნებებს იძლევიან ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ გარემოებებზე, რომლებზეც რაციონალური მიდგომები ქვეყნის ეკონომიკის წარმატების განმსაზღვრელია.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, რისკი, ფასწარმოქმნა, ინვესტიცია, მონოპოლია, დეპოზიტი, კრედიტი, რეფინანსირება.

FACTORS INFLUENCING THE PRICING POLICY OF FINANCIAL INSTITUTIONS IN GEORGIA

Giorgi Bitsadze
PhD student of GTU

SUMMARY

The article discusses the objective and sub-economic factors that influence the pricing policy of the financial market in a developing country. The contours of the financial market in a developing country give some hints about the circumstances hindering the development of the economy, on which rational approaches determine the success of the country's economy.

Key words: Competition, Risk, Pricing, Investment, Monopoly, Deposit, Credit, Refinancing.

შესავალი

საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით საქართველოში ბანკები სესხებს მაღალ საპროცენტო განაკვეთში გასცემენ. შეხედულებას სიმყარეს სძენს ის გარემოება, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას საქართველოში 2008 წლიდან გარკვეული პრობლემები აქვს. ცნობილია, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთი აფერხებს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ტემპს, ვინაიდან ლიკვიდური აქტივი გადის კონკურენციის საზღვრებიდან ახალი წონასწორობის წერტილის საპოვნელად. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ რა განაპირობებს მაღალი საპროცენტო განაკვეთზე შეხედულების სიმყარეს საქართველოში განვიხილოთ:

1) ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა; 2) კონკურენცია საფინანსო სექტორში; 3) სავალუტო რისკი;

4) არაპროფილური ბიზნესის წარმოება და 5) საბანკო სექტორის საპროცენტო სისტემის სპეციფიკა.

ძირითადი ნაწილი

ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა

ეკონომიკის წარმატების კარგ საზომად მშპ-ს სიდიდის მაჩვენებელი მოიაზრება. საქართველოში მშპ ერთ სულზე 2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით 5023 აშშ დოლარია და საშუალო ევროპული ქვეყნის მშპ-ზე რამდენჯერმე ნაკლებია და მსოფლიო მასშტაბით საქართველო საშუალო 101-ე ადგილს იკავებს. ასეულს მიღმა ადგილის მინიჭებას აქვს გარკვეული მიზეზები, რომელთაგან ერთ-ერთი ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარებაა. პოლიტიკური სტაბილურობა მწარმოებლურობის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღება და ხარისხობრივი სიდიდის მიღწევა დადებითი მოლოდინების შექმნითაა შესაძლებელი. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველო ვერ ახერხებს სტაბილური საგარეო და საშინაო პოლიტიკური ველის ფიქსირებას და გადახრა სხვადასხვა პერიოდში ორივე მიმართულებით შესაძლებელია. საგარეო პოლიტიკის დასტაბილურება ოცნების ხელისუფლებამ შესაძლებელი გახადა, მაგრამ იგივეს თქმის შესაძლებლობას შიდა პოლიტიკური კონიუნქტურა არ იძლევა, თითქმის არ არსებობს სეზონი, სადაც რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ „მშვიდობიანი რევოლუცია“ არ დაანონსოს და ამისათვის მრავალ ათასიან აქციას არ უხმოს. ნაცვლად იმისა რომ ბიზნესი კონცენტრირდეს წარმოების გაფართოებაზე, მათ უწევთ ფიქრი არეულობის ახალ ტალღაზე და მის უარყოფით შედეგებზე.

გაურკვევლობის მოლოდინი ბიზნეს უქმნის არასასურველ კლიმატს და ზრდის რისკ ფაქტორებს, იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიების გზა საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების გარდა საბანკო სექტორია, რომელიც გაზრდილ რისკს მაღალი საპროცენტო განაკვეთით აკომპენსირებს.

კონკურენცია საფინანსო სექტორში

კლასიკური გაგებით კონკურენტული ბაზარი იმშენებს ადგილს, სადაც მრავალი მყიდველი და გამყიდველია წარმოდგენილი ერთნაირი ან მსგავსი საქონლით და ერთ/თითოეულ მათგანს არ შესწევს

ძალა ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო ფასზე და მის კონტურებზე. ამდენად საფინანსო ბაზარი იდეაში წარმოდგენილია მრავალი მოთამაშით და ალტერნატივით. ბიზნეს, პირდაპირი ინვესტიციის დამატებითი გარდა ფინანსური სახსრების მოძიების ორი გზა აქვს, საბანკო სესხი და ფასიანი ქაღალდები ბაზარი. საქართველოში 90-იანი წლების ბოლოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას ჩაეყარა საფუძველი მკაფიო მიზნით, ეკონომიკის განვითარება ალტერნატიული კონკურენტების დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო; თუ ალტერნატიული დარგები მეტნაკლებად ერთნაირ სტადიაზე იმყოფება კონკურენტულ ბაზარი იწყებს გენერირებას, და პირიქით, თუ საწყის წერტილში ერთი დარგი ნულოვან წერტილზეა და მეორე გაცილებით წინ არის ევოლუციის ბუნებიდან გამომდინარე ეს უკანასკნელი შთანთქავს პირველს და ყალიბდება მონოპოლია. 1998 წელს საქართველოს პარლამენტში მიღებულმა კანონმა ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია გამიჯნა საბანკო სფეროს და მისცა შესაძლებლობა დამოუკიდებლად განვითარებულიყო. ამ კანონმდებლობის საფუძველზე ამოქმედდა საქართველოს საფონდო ბირჟა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 12 დამოუკიდებელი რეგისტრატორი და 40-მდე საბროკერო კომპანია. 2007-2008 წლებში ცვლილება შევიდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში, ამ ცვლილებით ფასიანი ქაღალდების ბაზარს დამოუკიდებლობის დისკრიმინაცია მოეწვა. ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა დაევალა ეროვნულ ბანკს, რომლის მთავარი საზრუნავს ყოველთვის წარმოადგენდა საბანკო სექტორის განვითარება. ბანკებს მიეცათ უფლება უშუალოდ ჩართულიყვნენ საქმიანობაში და სრულად დაპატრონებოდნენ კონკურენტ სფეროს. ამ ცვლილების შედეგად საბანკო სექტორი გახდა მონოპოლისტური და მიეცა საშუალება ბაზარზე დაანესონ არაკონკურენტული ფასი. ბუნებრივია


კონკურენციის ხარისხის ნაკლებობა ადამ სმიტის უხილავ ხელს აძევებს ბაზრიდან და მის ადგილს ხილული ხელი იკავებს, რაც საბოლოოდ პროდუქტის ფასზე კითხვის ნიშნებს აჩენს.

სავალუტო რისკი

ბანკებს დამატებითი ფულადი რესურსის მოსაზიდად სამი ძირითადი წყარო აქვთ: ანაბრები, სესხი ეროვნული ბანკიდან და სესხი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ანაბარი ეს არის საზოგადოებრივი ინვესტიციების ის ნაწილი, რომელიც ბანკებში ხვდება დეპოზიტებზე; სესხს, რომელსაც ეროვნული ბანკიდან იღებს რეფინანსირების განაკვეთით (11%) და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალდებულებები, შესაბამისად უცხოურ ვალუტაში დენომინირებული.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული სესხის გატანა ბაზარზე ბანკებისათვის იგივე ვალუტაში, რაც აღებულია აქვს კრედიტით პრიორიტეტულია სავალუტო რისკის შესამცირებლად, ხოლო დაინტერესებული მოქალაქისათვის ვისაც შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში აქვს მაღალი რისკია უცხოურ ვალუტაში მომსახურება, და ეს დადასტურდა კიდევ, როდესაც უცხოურ ვალუტაში გაცემულმა სესხებმა სოციალური ფონი მკვეთრად დაამძიმეს საქართველოში. თუ ბანკის მომხმარებელი სასესხო ვალდებულების შესასრულებლად 2013 წელს პირობითად თვეში 500 აშშ დოლარს იხდიდა და საშუალოდ მის შესაძენად 831,7 ლარი იყო საჭირო, 2015 წელს 500 აშშ დოლარის შეძენა 1134.65 ლარად გახდა შესაძლებელი, იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლები ასეთივე ზრდის ტემპით არ ხასიათდება, გასაგები ხდება, თუ რატომ მოახდინა ზენოლა სოციალურ ფონზე სავალუტო რყევებმა (იხ გრაფიკი).

პრემიერ მინისტრ მამუკა ბახტაძის ფინანსთა მინისტრობის პერიოდში საკანონმდებლო დონეზე განიხილეს და მიიღეს რეგულაციები უცხოურ



ვალუტაში სესხის გაცემის აკრძალვის თაობაზე ფიზიკური პირებისთვის, ხოლო იურიდიული პირებს არანაკლებ 200 000 ლარის ექვივალენტის უცხოურ ვალუტაში აღების შესაძლებლობა დატოვეს. საკანონმდებლო დონეზე მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების მიზნობრიობა ლოგიკური გაგრძელება იყო. როდესაც საბანკო სექტორი იღებს რეფინანსირებულ სესხს ეროვნული ბანკიდან 11%-ად ბუნებრივია მომსახურების ქვედა ზღვარს ზრდის მომხმარებლებისათვის, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტებიდან აღებული საკრედიტო ვალდებულებები, ადგილობრივ ბანკებს აძლევს მოტივაციას გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი სავალუტო რყევები მაღალი საპროცენტო განაკვეთით გადაზღვიოს და ძირითადი წნეხი მომხმარებლების ვალდებულებებში მოაქციოს.

არაპროფილური ბიზნესის წარმოება

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად ითვლება ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლა, სადაც კონკურენტული ბაზრის პირობებში ფასს მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო ძალები განსაზღვრავენ. საბანკო სექტორის მიერ ნომინალური ფასიანი ქაღალდების ბაზრის შთანთქმიდან მალევე, ბანკებმა არაპროფილური ბიზნესი განავითარეს. 2015 წლის მონაცემებით საქართველოში ბანკები ჯამში არანაკლებ 71შვილობილ კომპანიას ფლობდა ანუ ფლობდნენ ბიზნესს, რომლებსაც თავად აკრედიტებენ; მსგავსი მიდგომა ორ საყურადღებო სიტუაციას ქმნის, 1) ბანკში მიღის მომხმარებელი ბიზნესი იდეით და მან იცის ეს მისი იდეაა, მისი წარმატების იარაღი და ელოდება ფინანსურს დახმარებას სესხის აღებით, აცნობს ამ იდეას ორგანიზაციას, რომელიც ინტელექტუალური ეთიკის დარღვევას ბანკის საკეთილდღეოდ გამართლებულად მიიჩნევს და სხვისი იდეის საფუძველზე ავითარებს საკუთარ წარმოებას; და 2) არაპროფილური ბიზნესის წარმოება, ერთ-ერთი დახვეწილი მექანიზმი მოთხოვნასა და მიწოდების ძალების წნეხის ქვეშ მოსაქცევად; მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ მაგალითი: სამშენებლო კომპანიამ, რომელიც საბანკო სექტორის წარმომადგენლის შვილობილია ხმაურიანი აქციით დააანონსა ფასდაკლება მშენებარე კორპუსში ფართებზე განვადებით მიღების შემთხვევაში, მარკეტინგული მიდგომებით საკმაოდ დიდი ინტერესი გააჩინა საცხოვრებელ ფართების მიმართ, როგორ პასუხობს სამშენებლო კომპანია მაღალ ინტერესს? თავისავე მამობილ ბანკში აფორმებს თანამშრომლობის ხელშეკრულებას იპოთეკური სესხით, სადაც იპოთეკის საგანს ფასდაკლებული შესასყიდი ფართი წარმოადგენდეს, ხოლო სესხის საპროცენტო განაკვეთი

სტანდარტულზე მაღალი ნიშნულითაა წარმოდგენილი; სად არის რეალური შეღავათი? ან რა შედეგს მივიღებდით პირიქით ბანკს, რომ გამოეცხადებინა აქცია საპროცენტო განაკვეთზე და სამშენებლო კომპანიას სტანდარტულზე მაღალი, მომატებული ფასით განეხორციელებინა გაყიდვა? ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესის წარმოებას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე.

საბანკო სექტორის საპროცენტო სისტემის სავიზიტო

ნებისმიერი მიზნობრიობით დამტკიცებულ სესხს ბანკი წარადგენს მომხმარებელთან, როგორც კლებადი საპროცენტო განაკვეთის ტიპის სესხი.

იმის გასაგებად თუ რას მოიაზრებს კლებადი საპროცენტო განაკვეთი განვიხილოთ მაგალითი:

ბანკი ამტკიცებს 5000 ლარს 12 თვით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 24%. აღსანიშნავია, რომ საბანკო სისტემა იყენებს ანუიტეტის გრაფიკს, რომელსაც მომხმარებლებს კლებად გრაფიკად აცნობენ; რას გულისხმობს ამ ტიპის გრაფიკი? მოცემული წლიური საპროცენტო სარგებელი, რომელიც უნდა მიიღოს გამსესხებელმა გრაფიკში გადანაწილდეს იმგვარად, რომ მსესხებელმა დასაწყისი გადახდებისას მთლიანი სესხის პროცენტის ძირითადი ნაწილი დაფაროს, ხოლო სესხის ძირითადი თანხა(სესხის ძირი) მაქსიმალურად იყოს გრაფიკის ბოლო ნაწილში მოქცეული და შესაბამისად, ძირის დაფარვა ბოლო გადახდებისას განხორციელდეს. საბანკო სისტემაში არის ასეთი კოეფიციენტი 1.76(შესაძლოა 1.8 დამრგვალება ან პირიქით კლება), რომელსაც იყენებენ რეალურ პროცენტზე დასაყვანად; მაგალითზე წლიური 24% გულისხმობს $24/1.76=13.64\%$, ანუ 5000 ლარის გასესხებით ბანკი წლის ბოლოს, გარდა მომსახურების საკომისიოს, სმს საკომისიოს და სხვ. შემოსავლების გარდა მიიღებს 5000 ლარის 13.64%-ს.

$5000 * 13.64\% = 682$ ლარი(სარგებელი)

თუ ძირ თანხას გაიყოფა $5000/12$ თვე, მივიღებთ თვის ძირს 417 ლარი, რომელსაც ემატება 682 ლარი/12 თვე, თვის პროცენტი 56.85 ლარი და ვლებულობთ თვეში გადასახდელ სრულ $417+56.85=473.85$ ლარს, ამდენად ყოველთვიურმა გადასახდელმა თანხამ წლიურ 24 პროცენტზე შეადგინა თვეში 473.85 ლარი.

რა შუაშია აქ ანუიტეტის გრაფიკი? აქ არის მთავარი გადანაწილება გაკეთებული, კერძოდ თვეში გადასახდელი თანხა შეადგენს 473.85 ლარს, საიდანაც 417 ლარი ძირია, ხოლო 56.85 ლარი პროცენტი, ანუიტეტის გრაფიკი ცვლის თვეში გადასახდელ ძირი თანხისა და პროცენტის პროპორციებს და 473.85 ლარი განაწილდება 329 ლარის პროცენტად და ძირი 144,85 ლარის სასარგებლოდ, მეორე თვეში

473.85 ლარიდან პროცენტი დაიჭერს 319 ლარის მოცულობას, ხოლო ძირი 154,85 ლარს და ა.შ. ბანკი მომხმარებლისგან უპირველესად იღებს პროცენტს, ხოლო შემდგომ ძირი თანხას ყოველთვიური გადასახდელის შეუცვლელად.

ასეთი პროპორციული გადანაწილების მიზეზს განსაზღვრავს: სესხის დაზღვევა პრობლემური სტატუსის მოპოვების შემთხვევაში და რეფინანსირებასას პირგასამტეხლოს სიდიდე და ძირი თანხის ხელახლა პროცენტის ქვეშ მოქცევა.

სესხის დაზღვევა პრობლემური სტატუსის მოპოვების შემთხვევისათვის მოიაზრებს და სამართლებრივი დავისათვის წინასწარ მექანიზმის ჩანერგვას. პრაქტიკა აჩვენებს სასამართლო ინსტაციები ავალდებულებს მომხმარებლებს სესხის ძირი თანხის დაბრუნებას, და ვინაიდან გრაფიკით ბანკს პროცენტი თითქმის დასაწყისშივე აქვს ამოღებული, მხოლოდ ძირი თანხის დაბრუნება მისთვის დასაშვებია. სესხების დაახლოებით 70% სტატისტიკურად რეფინანსირებაზე მიდის, ხდება სესხის განახლება. ასეთ შემთხვევაში იფარება არსებული სესხი, ემატება მას სასურველი თანხა და შედგება ახალი გადახდის გრაფიკი. ბანკი იღებს პირგასამტეხლოს ძირი თანხიდან, ძირის სიდიდე განსაზღვრავს პირგასამტეხლოს სიდიდეს და დარჩენილი ძირი თანხის მოცულობა გრაფიკში მოექცევა ახალი პროცენტის ქვეშ. ეს არის პროდუქტი, შედეგი მონოპოლიზებული დარგის. იდეალურ შემთხვევაში კლებადი საპროცენტო განაკვეთის გრაფიკში, ყოველთვის გადასახდელ თანხის ოდენობას შემცირების ტენდენცია ექნებოდა.

დასკვნა

ნომინალური ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორში სხვა კაპიტალურ ალტერნატივებზე გაუჩნდეთ წვდომა, რომელიც კონკურენტული ბაზრის პროდუქტი იქნება. მაგრამ ამისათვის საწყის ეტაპზე აუცილებელია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში 2007 წლამდე არსებული ნორმების ამოქმედება, ის მისცემს საშუალებას ფასიანი ქაღალდების ბაზარს თავი დააღწიოს საბანკო სექტორის ტყვეობას და დამოუკიდებელი ზედამხედველობითი ინსტიტუტად ჩამოყალიბდეს. ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს კონკურენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკის დამკვიდრებას ბაზარზე და ოლიგოპოლური თამაშების დასრულებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამომცემლობა დიოგენე(2000, 2008). მეორე ქართული გამოცემა 2008 წელი.
2. ოლივიე ბლანშარი. მაკროეკონომიკა. ელ ვერსია. თსუ გამომცემლობა 2010 წელი.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური საიტი. სტატისტიკური ინფორმაცია, ბოლო გადამოწმება 2022 წლის 2 დეკემბერი, 13:20 საათი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური საიტი. ბოლო გადამოწმება 1 დეკემბერი 13 საათი
5. გიორგი ლოლაძე. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში-პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები(დეკემბერი 2015 წელი)